ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით ზურაბიშვილის 2016 წლის ანგარიშს.

თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი დავით ზურაბიშვილი

№ 10/17 G/3 28.11.16

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის დავით ზურაბიშვილის

2016 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

2016 წლის იანვრიდან დღემდე ჩატარდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 სხდომა. საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა 75 დადგენილება და 341 განკარგულება.

მონაწილეობის მიღება თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მუშაობაში . შესწავლილი საკითხები:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ (04/366 12.01.2015).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/991 20.01.2016).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" (04/1296 25.01.2016).
- ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში ავადობის პრევენციისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებული საკითხები.
- სათანადო საცხოვრებლის უფლების შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის (14.01.16, №06/699) განხილვა.

- ორხევის დასახლება, ჩანტლაძის 4/2, ყოფილი ავტობაზა „ტურისტის" შენობაში მცხოვრები დევნილი და სოციალურად დაუცველი მოქალაქეების განცხადების (6190/31.03.16) განხილვა.

- შპს „თბილისის კარდიოლოგიური საავადმყოფოს" დირექტორის თემურ შენგელიას განცხადებების (07/5294; 07/4992) განხილვა.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის #33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/9161 18 მაისი 2016 წელი) პროექტის განხილვა.
- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" მგზავრთა გადაყვანისას

მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (04/10212 03.06.2016წ.)

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე (04/11111 17 ივნისი 2016 წელი) პროექტის განხილვა.
- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიშის მოსმენა:

1. „უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის“ საქმიანობის შესახებ;

2. ააიპ „ლილოს მიუსაფართა თავშესაფარის“ ფუნქციონირების და ზოგადი საცხოვრებელი პირობების შესახებ;

3. სხვა სახის ინფორმაცია უსახლკაროთა უფლებების დაცვის მიმართულებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის შესახებ.

- პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/14139, 29 ივლისი 2016 წელი).

- პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (04/14269, 01 აგვისტო 2016 წელი).

- .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვლისწინებული ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ,,ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ (04/13475, 19 ივლისი 2016 წელი).

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული

ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხილვა.

მონაწილეობის მიღება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 23 სხდომის მუშაობაში. შესწავლილია 507 საკითხი.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,რესპუბლიკელების“ 11 სხდომა. შესწავლილი საკითხები:

- მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ნინო სულხანიშვილის ანგარიშის მოსმენა.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების ანალიზი.
- გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობისა და დასასვენებელი ადგილების მოვლა პატრონობის წესში ცვლილებების შესახებ მსჯელობა.
- სამუშაო შეხვედრა ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ თემურ თორდინავასა და მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროს ბადრი გიორგაძესთან.

  სააგენტოსა და აუდიტის სამსახურის მიერ ბაღებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებისა და ბაღის დირექტორების დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებზე მსჯელობა.
- შეხვედრა თბილისის ბაგა-ბაღების გათავისუფლებულ დირექტორებთან.
- ველოსადგომების მოწყობის ინიცირების საკითხი
- რეგლამენტში შესატანი ცვლილებები
- სპორტის სასახლის მიმდებარე სკვერის თემა

- **ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია:**

- პასუხი გაეცა მაჟორიტარის სახელზე შემოსულ 45-მდე კორესპოდენციას. წერილები და შუამდგომლობები გაიგზავნა, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობაში.
- ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე უკვე ათობით ადამიანს დაუფინანსდა სხვადასხვა ტიპის ოპერაცია თუ სამკურნალო კურსი, როგორც ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით.
- ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობიდან, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 16 მოქალაქეს.
- პირადად მაჟორიტარი შეხვდა 290 მოქალაქეს, რომელთაც გაეწიათ კომპეტენტური კონსულტაცია.
- ასევე ზურაბიშვილის ინიციატივით, საკანალიზაციო საკითხი მოუგვარდა ბახტრიონისა და დოლიძის ქუჩის 5 ობიექტს.

თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი _____ დავით ზურაბიშვილი